



1142/3-30/22 2 11022022

1142/3-30/22

11-02-2022

სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს

ლევან გოგომეს

ბატონო ლევან,

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირთაგან რამდენი არის შრომისუნარიანი, ხოლო მათგან რამდენი არის უმუშევარი (დაუსაქმებელი) და რამდენი დასაქმებული. აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდეთ ცალ-ცალკე, როგორც საარსებო შემწეობის მიმღებთაგან, ისე მიზნობრივი სოციალური დახმარებების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მოგვაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გიორგი ვაშაძე

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო



Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY



KA030434336313222

ს/კ 202178927

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/1427

18 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ გიორგი ვაშაძეს

ბატონო გიორგი,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილულ იქნა თქვენი წერილი (დოკ. N1142/3-30/22, 11.02.2022 წ. სააგენტოში რეგისტ. დოკ. N16820, 11.02.2022 წ.), გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპიუტერული ფარგლებში, გაცნობებთ, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულია 553 360 შრომისუნარიანი პირი, რომელთაგან ფულადი სახის გასაცემლით - „საარსებო შემწეობით“ სარგებლობს მხოლოდ 301 779 პირი.

თანდართული ელექტრონული ფაილის (MS_xls ფაილი) სახით, გიგზავნით საჯარო, სტატისტიკურ ინფორმაციას "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული „საარსებო შემწეობის“ მიმღები შრომისუნარიანი, უმუშევარი და დასაქმებული პირების თაობაზე.

აქვე გაცნობებთ, რომ „უმუშევარი“ და „დასაქმებული“ პირების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულ იქნა მიმდინარე პერიოდში ფინანსთა სამინისტროს სსიპ-შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაცია.

სტატისტიკური მონაცემები ასახავს 2022 წლის იანვრის თვის მდგომარეობას.

დანართი: MS_xls-ის ფაილი (სოც. ბაზაში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ შრომისუნარიანთა სტატისტიკა)

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგუდასმულია
ელექტრონულად

თამილა ბარკალაია

**"სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემი
"სოციალურად დაუცველის" სტატუსის მქონე შრომ
პირების სტატისტიკური მაჩვენებლები_20**

ბენეფიციარის კატეგორია
შრომისუნარიანთა რაოდენობა (ოჯახის დეკლარაციის მონაცემების მიხედვით)
მათ შორის:
უმუშევარი, ანუ პირი რომელსაც:
ფინანსთა სამინისტროს სსიპ-შემოსავლების სამსახურის მონაცემებით მიმდინარე პერიოდში არ უფიქსირდება შემოსავლის მიღება (ხელფასი ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით)
დასაქმებული, ანუ პირი რომელსაც:
ფინანსთა სამინისტროს სსიპ-შემოსავლების სამსახურის მონაცემებით მიმდინარე პერიოდში უფიქსირდება შემოსავალი (ხელფასი ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით)

ია ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული
ქისუნარიანი, უმუშევარი და დასაქმებული
122 წლის იანვრის მდგომარეობით

"საარსებო შემწეობის" მიმღები ოჯახების შემადგენლობაში დაფიქსირებული პირი
301,779
252,235
49,544